ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 6-12/13357182-16 21 03 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №49-ში (საკ. კოდი: №01.10.14.017.017) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №513908 24.01.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №49-ში (საკ. კოდი: №01.10.14.017.017) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-3“ ფასადი: -0.95 ნიშნულზე „2-3“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საჰაერო ღიობი. ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და დამატებით მოწყობილია ორი წყალშემკრები მილი. „1-2“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე, შეცვლილია სადარბაზოს შესასვლელი კარის ნახატი და გაბარიტები. +3.70, +10.30, +13.60, +16.90 ნიშნულებზე აივნებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები. +20.20 ნიშნულზე, „2-3“ მონაკვეთში აივნის თავზე არ არის მოწყობილი მსუბუქი ტიპის საჩრდილობელი. „1-2“ მონაკვეთში პანდუსის გვერდით დაბალ კედელზე ლითონის სვეტების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

„ა-დ“ ფასადზე არსებული შენობის გადახურვა ებჯინება საპროექტო შენობის კედელს.

„დ-ა“ ფასადზე, +25.99 ნიშნულზე „გ-ბ“ მონაკვეთში კიბის უჯრედის თავზე ფილა აწეულია ზევით და მოწყობილია +26.80 ნიშნულზე.

„3-1“ ფასადი: -1.50 ნიშნულზე, დამატებით მოწყობილია ორი საჰაერო ღიობი. ფასადზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები და შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. +3.70 და +13.60 ნიშნულზე აივნებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბი. „2-1“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი.

+26.80 ნიშნულზე, „ბ-გ“ მონაკვეთში გაზრდილია ფილის გაბარიტები და მოწყობილია „ბ-ბ“ ღერძამდე. +23.50 ნიშნულზე ტერასებზე არ არის მოწყობილი საყვავილეები. +23.50 ნიშნულზე „დ-გ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები.

+23.50 ნიშნულზე, „დ-გ“ მონაკვეთში კედლის მონაცვლებით საზაფხულო ფართის ხარჯზე გაზრდილია საცხოვრებელი 14 მ²–ით.

სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების გაბარიტები და ფორმა.

რაზედაც ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. „თბილისის არქიტექტურის სამსახური“-ს მიერ არ იქნა გაცემული დადებითი დასკვნა (დასკვნის №1170090 14.03.2014წ. განაცხადის ნომერი: AR1203262): „ობიექტის მშენებლობა განხორციელდა პროექტის დარღვევით და ამ დარღვევების საფუძველზე მოხდა კ–2 კოეფიციენტის გადაჭარბება (მომატებული 4,2–ის ნაცვლად დღევანდელი მდგომარეობით კ–2 = 4,3–ს), რის შემდგომაც მშენებლის მხრიდან არ ყოფილა დაყენებული მოთხოვნა ზონალურ საბჭოზე კ–2 კოეფიციენტის 4.3–მდე გაზრდის შესახებ, შესაბამისად არ მომხდარა მომატებული კ–2 კოეფიციენტის საფუძველზე პროექტის შეთანხმება და ნებართვის გაცემა, ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სამსახური

22 05 2014

მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ“.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, ,,პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 103[1]-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს ,,არქიტექსი“-ს, ნიკოლოზ ბახსოლიანს, ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №49-ში (საკ. კოდი: №01.10.14.017.017) მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13357182-16 23.12.2013წ. განცხადება.
№წ-12/13357182-16 13.01.2014წ. ბრძანება.

უფროსის პირველი მოადგილე ვ. ჯაბუა

22. 05. 2014

2679132
12/14352857-16
22.12.2014

მერაბ შენგელია (48001009693),
რუსთავი 9 მაისის ქ. კორ. 12 ბ. 21

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #12/14352857-16 წერილის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ცაგარელის ქ. #49-ში მდებარე ობიექტის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის 21.03.2014წ. #ბ-12/13357182-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში +23,50 ნიშნულზე ,,დ-გ“ მონაკეთში კედლის მონაცვლებით გამოწვეული საზაფხულო და საცხოვრებელი ფართის ცვლილება გამოსწორებულია, კერძოდ, ბლოკის კედლის გადაწევით ,,დ-გ“ მონაკვეთში, საზაფხულო და საცხოვრებელი ფართების ცვლილება (14მ^2) აღარ არსებობს.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე დავით მედულაშვილი